წელიწადი მესამე 1913

# თემი

ორშაბათი, 15 ივლისი № 132

ფასი გაზეთისა წლიურად—2 მ. 50 კ. ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ. 1 თვით 25 კაპ.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

ორშაბათი 15 ივლისი № 132

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა 10 საათიდან 1 საათამდის რედაქციაში Ольгинская, 4 д. Діасамидзе
ხ. ლის მოწერა და განცხადებანი მიიღება აქვე კვირა უქმე დღეებს გარდა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით

1 ივლისიდან წლის დამლევამდე გაზ.

წელიწადი მესამე. **„თემი“** წელიწადი მესამე.

ღირს 1 მან. 25 კაპ.

ადრესის გამოცვლა თბილისის გარეშე—40 კაპ.

ვინც გაზეთის წლიურ ფასს—2 მან. 50 კაპ. ერთბაშად წარმოადგენს, მიიღებს ორ პრემიას: 1) ს. აბაშელის ლექსთა კრებულს „მზის სიცილს“ და 2) გ. მაყაშვილის ლექსთა კრებულს.

რედაქცია და კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდის—Ольгинская, 4, д. Діасамидзе.

## ახალი კლუბი
საზაფხულო სადგომი

ორშაბათს 15 ივლისს 1913 წ.

ჩვეულებრივი

## საოჯახო საღამო

სინემატოგრაფიული სურათები

მუსიკალურ პიესებს დაუკრავს ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

ამ წლის 1-ლ აგვისტოდან

ქ. გორში კვლავ გამოვა სასოფლო-სამეურნეო და სალიტერატ. გაზეთი

ქართლი

გაზეთი დაიბეჭდება ყოველ-დღე კვირა-უქმეთა მომდევნო დღეების გარდა. ფასი გაზეთისა: 1 წლით 6 მ., ნახევარი წლით 3 მ. და 50 კ., სამის თვით 2 მ., 1 თვით 70 კ., ცალკე ნომერი 3 კ.

პირველ ნომრებიდანვე გაზეთ „ქართლში“ დაიბეჭდება დიდად საყურადღებო „მოგონებანი“ (მემუარები) ოლღა ბატონიშვილისა (მოსკოვში ახლად გარდაცვალებულ ოლღა ილიას (ირაკლი მეფის შვილის) ასულისა.

რედაქტორ-გამომცემელი ია ეკალაძე-ცინცაძე.

გაზეთის დასაკვეთი ფული და მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: ქ. გორი, ი. ცინცაძეს.

## ამ მოკლე ხანში გამოვა
იუმორისტული სურათებიანი ალმანახი

## „მათრახი“

თანამშრომლებს ვთხოვთ გამოგზავნონ მასალა შემდეგი მისამართით: Тифлисъ. Типографія „Сорапань“ для „Матрахи“.

მიიღება ხელის მოწერა საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველდღიური გაზეთ.

## „თანამედროვე ქვეყანა“-ზე

გაზეთი გამოდის ყოველ დღე გარდა კვირა უქმეების შემდეგი დღეებისა.

გაზეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| წლიურათ | 7 მ. — კ. | 1 თვით | — მ. 90 კ. |
| 6 თვით | 4 მ. — კ. | ქუთაისში | — მ. 80 კ. |
| 3 თვით | 2 მ. 50 კ. | საზღვ.-გარ. 2-ჯერ მეტი ვიდრე ქუთ. | |

სოფლის მასწავლებლებს გაზეთი მიეცემა 60 კ., მოსწავლე ახალგაზრდობას კი 50 კ. რედაქცია იმყოფება: დადიანის შესახვევი, სახლი გაბილიას, № 6. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Михайловская ул. Георгію Павловичу Сванидзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

## ომი ბალკანეთზე.

„დიდი ცოდვა ტრიალებს ბალკანეთზე“.

შარშან რომ ბალკანეთზე ომი დაიწყო, მშვიდობიანობის საზოგადოებამ მოსკოვში შემდეგი დაადგინა:

„დიდი ცოდვა ტრიალებს ბალკანეთზე. ადამიანის სისხლი იღვრება. რუსეთს არ შეუძლიან შეაჩეროს ეს სისხლის ღვრა, ამიტომ ჩვენი მოვალეობაა—ის მაინც მოვახერხოთ როგორმე, რომ სისხლის ღვრა მთელს ევროპას მაინც ავაცდინოთ. ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ რუსეთი და ავსტრ.-უნგრეთი პირობას დასდებენ, რომ არც ერთი და არც მეორე ომში არ ჩაერევიან. ბალკანეთის მცხოვრებლებმა ომი გამოუცხადეს ოსმალეთს და ამიტომ მათ კისერზეა ყოველივე შედეგი, რომელიც ამ ომს მოჰყვება. რაც უნდა მოხდეს ბალკანეთზე, ყოველ შემთხვევაში რუსეთი არ უნდა ჩაერიოს იქაურ საქმეებში, თუ ავსტრი-უნგრეთიც არ ჩაერია. ჩვენი საზოგადოება ეცდება ყველა დიდ სახელმწიფოსთან ერთად, რომ ომმა სხვა სახელმწიფონიც არ ჩაითრიოს და გარდა ამისა ჩვენი სურვილია, რომ ბალკანეთზე ომი რაც შეიძლება მალე მოისპოს“.

როგორაც სჩანს, ასეთ დასკვნას ეთანხმება რუსეთის მთავრობაც. როცა რუმინიის ჯარი შეესია ბულგარეთს, რუსეთს ხმა არ ამოუღია. როცა მთელმა ქვეყანამ გაიგო—ოსმალეთი მეორედ კიდევ ომს უცხადებს ბულგარეთსაო, რუსეთმა საქვეყნოდ გამოაცხადა, თუ ოსმალეთის ჯარი გადასცდა იმ საზღვარს, რომელიც დიდ სახელმწიფოთა სათათბიროს მიუჩინა — ენოს-მიდია — მაშინვე მთელს სომხეთს მე დავიჭეროო.

ოსმალეთმა გაბედა ამ საზღვრის გადალახვა და მეტიცა ქნა. ეხლა ოსმალეთის გაბედულებას საზღვარი არა აქვს. დეპეშებმა შეგვატყობინეს, რომ ოსმალეთის ჯარი ისე შევიდა ადრიანოპოლში, რომ არავის წინააღმდეგობა არ გაუწევიაო.

ბულგარეთის ახლანდელი მდგომარეობა მეტად საშინელია. ბულგარეთი სრულიად იღუპება და მშველელი არსადა სჩანს.

ერთ პატარა სახელმწიფოს, რომელმაც ოსმალეთი დაამარცხა, წეესივნენ: სერბია, საბერძნეთი და შავგორეთი. საბრალო ბულგარეთმა არ იცოდა, როგორ დახვდებოდა ყოველმხრიდან შესეულ სამ მტერს.

ესეც არ აკმარეს. სრულიად მოულოდნელად ბულგარეთს შეუტია მეოთხე მტერმა—რუმინიამ. რუმინიის მეფემ გამოაცხადა: აქამდე ჩვენ გაჩერებულნი ვიყავით და ბალკანეთის საქმეში არ ვერევოდით, ეხლა-კი გარემოება იცვალა. ჩვენცა გვაქვს ჩვენი ინტერესები ბალკანეთზე. ბულგარეთზე, სერბიაზე და საბერძნეთზე ნაკლებნი არც ჩვენა ვართ და თუ საქმე ოსმალეთის გაყოფაზე მიდგა, ჩვენც ჩვენი წილი გვერგებაო.

მოკავშირეთა წაჩხუბება ბალკანეთზე ოსმალეთისთვის მეტად სასარგებლო გამოდგა. ერთმანეთის ჩხუბმა ოსმალეთის მტრები დაასუსტა. სწორედ ეხლაა კარგი დრო, გადასწყვიტა ოსმალეთმა, შეესია ბულგარეთს და წართმეულ ადგილებს უკან იბრუნებს. ადრიანოპოლი ხომ დაიბრუნა და შესაძლებელია, რომ როდესაც ეს სტრიქონები იწერება, კირკ კილისეც—დიდი სიმაგრე, რომელიც წაართვეს ბულგარელებმა,—ისევ ოსმალეთის ხელში იყოს.

მიუხედავად ოსმალეთის ასეთი გაბედულებისა, რუსეთმა თავის მუქარა არ შეასრულა და კარგადაც მოიქცა. ეხლა ყველასათვის ცხადია, რომ თუ რუსეთი ჩაერია ბალკანეთის საქმეში და ოსმალეთს ომი გამოუცხადა, არც ავსტრი-უნგრეთი და არც გერმანია არ მოუთმენენ და... შეიქმნება თითქმის მსოფლიო ომი.

რუსეთ-საფრანგეთის კავშირის ძალით საფრანგეთი ვალდებულია, თუ ევროპაში რუსეთს ვისმესთან ომი მოუხდა, საფრანგეთი უეჭველად უნდა მიემხროს რუსეთს. საფრანგეთსა და რუსეთს მიემხრობა ინგლისი და ეს სამი სახელმწიფო შეებრძოლება მძლავრ გერმანიასა, ავსტრი-უნგრეთსა და იტალიასა.

გამწვავდება-კი მართლა ასე საქმე? ნუთუ შესაძლებელია ეხლანდელ დროში ასეთი შესაზარი ომი!... არა გვგონია დიდ სახელმწიფოთა მთავრობა და დიპლომატია ეცდება ყველა ღონე იღონოს, რომ სისხლის ღვრა აიცდინოს. თვით ხალხიც მთელის ევროპისა ომის წინააღმდეგია.

პარიზში თუ ხალხი ვერაფერს გახდა, სამაგიეროდ სენჟერვეში მომხდარმა მანიფესტაციამ თვალ საჩინოდ დაანახვა საფრანგეთის მთავრობას, რომ პარიზის მუშები, სოციალისტები და სინდიკალისტები ყველანი წინააღმდეგნი არიან ომისა.

აი სწორედ მუშა ხალხის გამოღვიძებისა და შეგნების ბრალია, რომ ყველა სახელმწიფოს მთავრობას ძლიერ ეძნელება ომის დაწყება. დიდი გაბედულება არის საჭირო მთავრობისათვის, რომ ხალხის სურვილის წინააღმდეგ ვისმე ომი აუტეხოს. ამას მოწმობს რუსეთ-იაპონიის ომი, რომელსაც რუსეთის პირველი რევოლიუცია მოჰყვა.

დიდ სახელმწიფოთა ურთიერთის შიში და კრძალვაა მიზეზი საბრალო ბულგარეთის ეხლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობისა. რაკი მიხვდა ბულგარეთი, რომ ყველა მხრიდგან შემოსულ მტერთან ვერაფერს გახდება, მიმართა დიდ სახელმწიფოთ-მიშველეთ, ოსმალეთის მსხვერპლად ნუ გამხდითო.

შეიბრალებენ ბულგარეთს დიდნი სახელმწიფონი, თუ არ შეიბრალებენ? ამის გადამწყვეტი რუსეთია, მაგრამ ძლიერ საეჭვოა, რომ ეხლანდელ პირობებში რუსეთი ბულგარეთს მიუდგეს...

## პატარა წერილები.

1.

ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ბევრიც რომ ათვალიეროთ, ძალიან გაგიძნელდებათ ხეირიანი წარმოდგენა შეადგინოთ პროვინციის ცხოვრების შესახებ.

ჯერ-ჯერობით ქალაქური ცხოვრება არც ისე განვითარებული გვაქვს, რომ მთელი ჩვენი ძალ-ღონე მისი ყოფა-მდგომარეობის აღნუსხვას მოვანდომოთ.

ჩვენი ძალა და იმედი პროვინციაა. იქა გვყავს გლეხობა, რომელიც დედაბოძია ჩვენი ცხოვრებისა.

მაგრამ სამწუხაროდ ეს დაუშრეტელი წყარო ჩვენი ახლანდელ და მომავალ ცხოვრებისა დღეს-დღეობით სრულიად მივიწყებულია.

ისე გადაიკითხავთ მრავალ-რიცხოვან ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს, რომ არსად შეგხვდებათ რიგიანი წერილი სოფლის მდგომარეობის შესახებ.

თითო-ოროლა ულაზათო წერილი, რომელიც იქა-აქ მოიპოვება გაზეთებში პროვინციის ცხოვრების შესახებ ან ავტორთა ფანტაზიის ნაყოფია, ანდა სინამდვილე ისეა დამახინჯებული, რომ ძნელი გასაგებია რა უნდოდა ეთქვა ავტორს.

იმის მაგიერ, რომ მიუდგომლად და სწორად აღნიშნონ მომხდარი ამბავი, ჩვენებური კორესპონდენტები ან დარიგებას იწყებენ, ანდა რომელიმე თხზულებიდან ამონაგლეჯ მსჯელობით უმასპინძლდებიან რედაქციებს.

ამას ისიც დაუმატეთ, რომ ას წერილში შეიძლება ერთი ან ორი გამოერიოს რიგიანი ენით დაწერილი. იშვიათად შეხვდებით ისეთს წერილს, რომელსაც „კაპიტალური რემონტი“ არ სჭირდებოდეს ენის მხრით.

აღსანიშნავია, რომ ჩვენებური „ნასწავლნი“ ძალიან თაკილობენ კორესპონდენციების წერას და თუ შემთხვევით ხელში კალამი აიღეს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ იაფი საშუალებით სურთ თავი გააცნონ რედაქციებს და მკითხველებს, რათა შემდეგ წერილების ნაცვლად ლექსები დაუშინონ.

ჩვენებურ კორესპონდენტების უმეტეს ნაწილს ჩვენი ხალხის განმანათლებელნი—მასწავლებელნი შეადგენენ.

ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მასწავლებელი უფრო ახლოს დგას სოფელთან და პროვინციის ცხოვრება იმის თვალის წინ მიმდინარეობს. მას უფრო კარგად ესმის სოფლის ლხინი და ჭირი—ის იმის ცხოვრებას მთლიანად განიცდის.

მაგრამ სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ჩვენს განმანათლებელს ვერ მოუხერხებია გარკვევით გადმოგვცეს ის, რისიც თქმა სწადია. უბრალო ამბავის

## ახალი კლუბი
საზაფხულო სადგომი

ოთხშაბათს, 17 ივლისს, და პარასკევს 19 ივლისს გაიმართება

## ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

სინემატოგრაფის საშუალებით აჩვენებენ საინტერესო სურათებს. ✦ „ახალი კლუბის“ სიმებიანი ორკესტრი დაუკრავს სხვადასხვა მუსიკალურ პიესებს.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე

„თემის“ რედაქციის გამოცემა.

ს. აბაშელის ლექსთა კრებული

## „მზის სიცილი“

ავტორის სურათით და ბ. ივანე გომართლის წერილით.

ფასი 50 კაპ.

ვინც გამოიწერს ფას-დადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25 %, საკომისიოთ—20 %.

მისამართი: გაზ. „თემის“ კონტორა.

Sanitas Adresse Télégraphique

Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами въ Тифлисѣ

ფამსვლელთათვის

ღრუბლები, სარტყლები, ლიუფის ხელთათმანები, ჩუსტები, მცურავი საპონი, საშინაო პატარა აფთიაქები, სავარცხლები, შრო თქები და სხვა სატუალეტო ნაგნები.

ფოტოგრაფ. აპარატები და მათი მოწყობილება.

საშუალება ბუზების და სხვა მწერების წინააღმდეგ.

საშუალება „მოსკიტოლი“ კოღოების წინააღმდეგ

ყოველგვარი საპონი, ლოლა, სახამებელი საცვლების გასარეცხად.

ფეხსაცმლის გასაწმენდი ლაქები, ვაქსა და საცხებელი დამსხვრეულ ნივთების შემაკოწიწებელი სინდეტიკონი და სეკკოტინი.

Адресъ телеграммъ Санитасъ Тифлисъ

## „სოლოცატი“

ვაჭრობა საათიაქო, პარფიუმერიულ, კოსმეტიკურ, საგალანტერიო, კაუჩუკის და სხვა საგნებითა.

სოლოლაკის ქუჩა,

1-ელ საურთიერთო კრედიტის საზოგადოების ახალი სახლი.

## საჭიროა გამყიდველები
გერქვლითი სიტყვის ნაწარმოების გასასყიდათ

როგორც თბილისში, აგრეთვე პროვინციაში. ქუთაისში, სამტრედიაში, ფოთში, ყვირილაში, ჭიათურაში, ბათომში და სხვაგან. გამყიდველებს ჯამაგირი და %. დაწვრილებით პირობის გაგება შეიძლება შემდეგი ადრესით:

**Тифлисъ Типографія „Сорапань“**

გადმოცემაც კი ვერ ეხერხება და ამიტომ ხშირად მისდა უნებლიედ ფაქტები მახინჯდება.

რაც ჩვენს რედაქციებს კორესპონდენციები მოსდის, ყველა რომ შეგროვდეს და რომელიმე მკვლევარს გადაეცეს—დარწმუნებული ვარ სანუგეშოს ვერას დაასკვნიდა.

ამ გვარ კვლევიდან ის დამტკიცდებოდა, რომ ჩვენში წერა-კითხვა არა თუ გავრცელებულია, არამედ რჩეულებსაც კი უძნელდებათ თავიანთი აზრის გარკვევით გადმოცემა. ეს მოვლენა რასაკვირველია ჩვენი კულტურისათვის დიდი გამონაკლისია და მას თავისებური გავლენა აქვს ჩვენი ცხოვრების დანარჩენ მხარეებზეც.

ენის უცოდინარობით აიხსნება ჩემის ფიქრით ისიც, რომ პროვინციის ცხოვრება ვერ არის რიგიანად გაშუქებული.

ამიტომ ზაფხულობით მაინც, როდესაც პროვინციას პაპანაქება უბრუნებს თავის განათლებულ შვილებს—სოფლის ცხოვრება უფრო უნდა სჩანდეს პრესაში.

მაგრამ სინამდვილე ამის წინააღმდეგსაც ჩაგვჩურჩულებს.

2.

ამ ჟამად რუსეთის პრესა მთავრობის ორ უტაქტო მოქმედების შესახებ ლაპარაკობს.

ეს არის ნოქართა ორგანიზაციების წარმომადგენელთა საერთო კრების დახურვა და მუშათა ორგანოების: „ლუჩის“ „პრავდას“ და „ტრუდოვაია გოლოსის“ შეჩერება მავნე მიმართულებისათვის.

ორივე აქტი მიმართულია მუშა ხალხის წინააღმდეგ იმ მოსაზრებით, რომ მას საჭიროდ ლაპარაკის საშუალება მოესპოს, რათა მისი ხმა არ მიწვდეს ფართო საზოგადოებას და ცუდი გავლენა არ იქონიოს მასზე.

ამ გვარად ერთი მოზრდილი ნაწილი რუსეთის საზოგადოებისა იძულებულია გაჩუმდეს რეპრესიების მეოხებით და თავისი მეტად მწვავე, საჭირბოროტო, ცხოვრების მიერ ნაკარნახები კითხვების გადაწყვეტას სხვა გზით შეეცადოს.

ამას ხედავს ყველა, ვისაც ჯერ კიდევ შერჩენია უნარი თავისი ცხვირის იქეთ რისამე დანახვისა და ამიტომაა რომ მთავრობის ასეთს მოქმედებას ერთხმად შეცდომად აღიარებენ ყველა გაზეთები.

აი რასა სწერს სხვითა შორის „რუსკიე ვედომოსტი“ მუშათა ორგანოების დახურვის გამო: „რეაქციას უნდა, რომ მუშათა მოძრაობა არ არსებობდეს და ეს მისი სურვილი ახალი არ არის.

„რეპრესიების მეოხებით მოძრაობა იზრდება და არ კლებულობს, თუ ჩვენ საქმეს შევხედეთ არა იმ თვალსაზრისით, თუ რას მოგვიტანს იგი დღეს, არამედ იმით თუ რას გვიქადის ხვალ. რეპრესიები მხოლოდ აბოროტებს ხალხს და ამწვავებს ურთიერთობას“-ო.

ასე მსჯელობენ რუსეთის თითქმის ყველა გაზეთები და თან ერთხმად ჰგმობენ მთავრობის მოქმედებას.

მაგრამ საკითხავია, რა მიზეზია, რომ ბურჟუაზიული და ლიბერალიური გაზეთებიც-კი ასე ალაპარაკდნენ და მთავრობის ამ გვარი ნაბიჯი დაჰგმეს?

ეს ადვილი გასაგებია, თუ კი ოდნავ მათ წერილებს დაუკვირდებით. ისინი შიშობენ, რომ ამის შემდეგ უფრო გაღრმავდება მუშათა შეგნება და წარსულ წლების აჩრდილი უდგებათ თვალ-წინ.

ამ გვარად, მთავრობამ ეხლა თავისი მოქმედებით უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოების იმ პროგრესიულ ნაწილშიც კი, რომელიც დღემდის იმედიანად შეყურებდა მის პოლიტიკას.

რ.

# ს ა ჭ ი რ ო ს ა ქ მ ე.

გასულ წლის 30 სექტემბერს ქუთაისის ქალაქის გამგეობას მიმართეს თხოვნით ქუთაისში კარგად ცნობილმა მოღვაწემ—თავ. პ. თუმანიშვილმა და ახალგაზდა ინჟენერმა ნ. ცინცაძემ. მათ სთხოვეს ქალაქის გამგეობას—გადმოგვეცით ჩვენ ქუთაისში ელექტრონის სადგურის გამართვა და ქალაქის განათებაო.

ამ წლის 22 იანვარს, ქალაქის თავის ი. ჩიქოვანის წინადადების გამო თავ. პ. თუმანიშვილმა და ნ. ცინცაძემ წარადგინეს თავიანთი პირობები. შემდეგ, 18 აპრილს, მათვე განუცხადეს ქალაქის გამგეობას ელექტრონის ტრამვაის გამართვასაც ვიკისრებთ ქუთაისშიო.

თუმცა ქალაქის გამგეობას ეს საქმე ჯერ არ წარუდგენია განსახილველად ქალაქის საბჭოსთვის, მაგრამ თავ. თუმანიშვილსა და ნ. ცინცაძეს შეუტყვიათ, რომ ვითომ ხმოსანთა უმეტესობას არ სურს ამ საქმეების იჯარით გაცემა და ურჩევნიათ, რომ თვითონ ქალაქმა გამართოს ელექტრონის განათება და ტრამვაი.

ამ ჟამად თავ. პ. თუმანიშვილსა და ნ ცინცაძეს შემდეგი წინადადება მიუციათ ქალაქისთვის.

1) კონცესიონერები კისრულობენ: წყლის მილებისა, ელექტრონის განათებისა და ელექტრონისავე ტრამვაის გაკეთებას.

2) ყველა ამას და აგრეთვე მთელის ქუთაისის კანალიზაციის გამართვა შეიძლება სესხად აღებულის ფულით, რომელიც იშოვება ბანკებში თავ თუმანიშვილისა და ნ. ცინცაძის დახმარებით.

ყველა ამ საქმისთვის კონცესიონერები გამოიყენებენ მდინარე რიონის დიდ ძალას. საჭირო ფულს ამ საქმისთვის იძლევიან პეტერბურგის ორი მდიდარი ბანკი. ეს ბანკები კისრულობენ თურმე პასუხის გებას თავის დროზე გააკეთონ ყველა ეს საქმე. კავკასიაში ქუთაისზე უფრო ყველაფრით დაქვეითებული ქალაქი მეორე არ მოიძებნება. ქალაქი მეტად ღარიბია და თუ სესხით არა, ამ დიად საქმეს სხვაფრივ ვერ გააკეთებს.

ამიტომ საჭიროა, ქალაქის გამგეობამ ეხლავე მოსთხოვოს თავ. პ. თუმანიშვილსა და ნ. ცინცაძეს ის პირობები, რომლებითაც ისინი კისრულობენ ამ საქმის გამართვას.

თუ მართლა ქუთაისში ელექტრონის სადგური გამართა მდინარე რიონის ძალით, ქუთაისს კარგი მომავალი მოელის. ელექტრონის ენერგიით ისარგებლებენ მრავალი დაწესებულება და სახელოსნოები იაფი ფასით.

თავ. პ. თუმანიშვილი და ინჟენერი ნ. ცინცაძე კისრულობენ აგრეთვე ყოველგვარ მეცადინეობას სახელმწიფო დაწესებულებებში, რომ ქუთაისს რაც შეიძლება მალე მიეცეს სესხი ზემოხსენებულ საქმეთა განხორციელებისთვის, ამას გარდა ნ. ცინცაძე სწერს ქუთაისის ქალაქის გამგეობას—თუ საჭიროება მოითხოვს, მე თითონ გიახლებით ქუთაისში და ვიკისრებ გამგეობისათვის ყოველგვარ ცნობების შეკრებასო.

თავ. პ. თუმანიშვილისა და ნ. ცინცაძის წინადადება იმდენად საგულისხმოა, რომ იმედია გამგეობა ამ საქმეს მხნედ მოჰკიდებს ხელს და მალე წარუდგენს ქალაქის საბჭოს თავის დასაბუთებულ მოხსენებას.

ნ.

# ახალი ამბები.

გუშინ თბილისში გამოვიდა პირველი ნომერი ახალი ორ კაპეიკიანი გაზეთისა „ახალი აზრი“. გაზეთი გვპირდება, რომ ის უპარტიო იქნება და ეცდება უსაჭიროესი საკითხების, რომელნიც წამოყენებულია დღეს შესაფერისად იქნება გარკვეული და აღნუსხული და ამასთანავე შეძლებისდაგვარად „სიფრთხილით ემსახუროს ხალხის ინტერესებს—იმ ხალხის, რომელმაც მისი ბედ-იღბლის იალქანი აღორძინებისკენ გააქანა, პატივის ცემით მოეპყრას ყველა იდეურ სახალხო მოღვაწეებს“-ო. ვუსურვებთ „ახალ აზრს“ დღეგრძელობას.

— —

ამ დღეებში თბილისის ყველა გაზეთებში იყო ცნობა, რომ ვითომ მინისტრი შეკითხებოდეს მეფისმოადგილეს: რა უმაღლესი სასწავლებელია სასურველი პოლიტეხნიკუმის გარდა კავკასიაში? და მეფისმოადგილეე ეპასუხნოს: უნივერსიტეტიო. ეხლა როგორც „კავკაზი“ იუწყება ეს ცნობა არ ყოფილა მართალი.

— —

ჟურნალისტი ა. რაჟდენიძე ქუთაისის ციხიდან სამი დღით გაუნთავისუფლებიათ. სამ დღის შემდეგ ის უნდა გაემგზავროს ტაშკენტს, რადგან ის ხუთი წლით არის გადასახლებული.

— —

ქუთაისის დირექტორმა ადგილიდან დაითხოვა ლ. ნაცვლიშვილი და ა. ოდიშარია, რადგან ისინი 1881 წლის სასწავლო გეგმას გამოესარჩლენ.

— —

პეტერბურგის ქარხნებში გაფიცვა თანდათან ვრცელდება. გაფიცულთა მოთხოვნილება უმეტეს ნაწილად ეკონომიური ხასიათისაა.

— —

პეტერბურგში სლავიანთა მომხრეებმა სადილი გამართეს. სადილის დროს მხურვალე კამათი იყო. წარმოითქვა შემდეგი სურვილი: ჩვენმა გემებმა დაიჭირონ ბოსფორი და დარდანელი და მოსთხოვონ ოსმალეთს დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარი ბულგარეთიდან; მეორე: ხელახლად განხილულ იქნეს საერთაშორისო პირობები ბოსფორის და დარდანელის შესახებ. მესამე: რუმინიამ თვისი ჯარი წაიყვანოს სილისტრია-ბალჩიკამდე. მეოთხე: დაუყონებლივ ჩამოვარდეს ზავი ბალკანეთზე იმ პირობებით, რომლებიც შემუშავებული იყო მეორე ომის დაწყებამდე.

— —

საკოპერაციო კურსები, რომელსაც ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება მართავს, დაიწყება დღეს, 15 ივლისს. კურსებზე ლექციების წასაკითხად ჩვენებურ ლექტორთა გარდა მოწვეულნი არიან სპეციალისტ-ლექტორები ხარკოვიდანა და მოსკოვიდან. სოფლის კოოპერატივთა წარმომადგენელთათვის, რომელთა რიცხვი კურსებზე 40-მდე იქნება, თბ. საბალოსნო სასწავლებელში ბინაა მოწყობილი. რუსულ ლექციების კითხვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში იქნება, ხოლო ქართულისა—კავკასიის სააბრეშუმო სადგურის შენობაში.

— —

მფრინავმა მ. ქებურიამ თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს ნივთიერი დახმარება სთხოვა თავის აეროპლანისთვის მოტორის შესაძენად, მაგრამ საკრებულომ თხოვნა ვერ დააკმაყოფილა და ქებურიას უარი უთხრა დახმარებაზე.

— —

13 ივლისს სასამართლო პალატის საგანგებო საკრებულოში წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით ხელახლად გაირჩა ქამო ტერპეტროსოვის გაქცევის საქმე. ამ საქმის გამო ქამოს დებს, საავადმყოფოს ზედამხედველს ბრაგინს და ცინცაძეს მისჯილი ჰქონდა, პირველთ—საუკუნო გადასახლება, ცინცაძეს და ბრაგინს—კატორღა. სენატმა ეს საქმე ხელმეორედ დანიშნა გასარჩევად. საგანგებო საკრებულომ ცინცაძეს და ბრაგინს კატორღა საუკუნო გადასახლებით შეუცვალა. ქამოს უფროსს დას 1 თვის ციხე მიუსაჯა, უმცროსს კი 5 თვისა და 10 დღის.

— —

ოგანეზოვის ფირმამ ჭიათურის მუშების მოთხოვნილება დააკმაყოფილა და მის სარეცხ ქარხანაში და მაღაროებში მუშაობა განაახლეს. ამ ჟამად ჭიათურაში 150—200 ვაგონი იტვირთება ყოველ დღე.

— —

10 ივლისს ჭიათურაში დაუპატიმრებიათ ორი მუშა. მათ უნახეს რაღაც მოწოდებები. დაპატიმრებულნი 13 ივლის ქუთაისში ჩაიყვანეს და საგუბერნიო სატუსაღოში მოათავსეს. საქმეს ჟანდარმების სამართველო იძიებს.

— —

როგორც გავიგეთ დ. ნაგომარში მისულა გენ. შჩეგროვსკი, რომელმაც უმაღლეს მთავრობის დავალებით უნდა გამოიძიოს გურიის ადმინისტრაციის მოქმედება. შჩეგროვსკის უკვე გამოუწვევია დასაკითხავად აკეთის და ძიმითის საზოგადოებები.

— —

რედაქციამ მიიღო პედაგოგიური ჟურნალის „კავკაზსკაია ჟიზნ-“ის მე 3-მე ნომერი. ჟურნალში თორმეტამდის სხვადასხვა წერილია მოთავსებული. დაწვრილებით ამ გამოცემის შესახებ შემდეგ გვექნება ბაასი.

— —

ბერლინში გარდაცვლილ ვარლამ შავდიას სულის მოსახსენებლად ადესაში მუშებმა და ინტელიგენტებმა პანაშვიდი გადაიხადეს.

გაზ. „თანამედროვე ქვეყანას“ აუარებელი სამგლოვიარო წერილები და დეპეშები მოსდის ყოველ მხრიდან ვ. შავდიას გარდაცვალების გამო. „თემის“ რედაქციამაც მიიღო ამ დღეებში სამგლოვიარო წერილები დ. სულიაშვილისაგან და ვალიკო [illegible]ისაგან.

ნათესავებს გადაუწყვეტიათ გარდაცვლილ ვარლამ შავდიას ცხედარი სამშობლოში მოასვენონ.

— —

ჟურნალ „კლდის“ რედაქცია გვატყობინებს, რომ ამ ზაფხულში „კლდე“ თვეში მხოლოდ ორჯელ გამოვა, „რადგან თანამშრომელნი იძულებულნი არიან გავიდნენ სოფლად და პრაქტიკულ საქმეთ დაეხმარნენ“-ო.

— —

წ. კ. საზოგადოება ამ მოკლე ხანში გამოსცემს განსვენებულ ალ. ხახანაშვილის თხზულებას: „ქართული სიტყვიერების ისტორია XIX-საუკუნეში“

— —

7 ივლისს, საღამოს 6 საათზე, „ფრანგთა საზოგადოების“ ინჟენრები პონომარენკო და ფორი ახტალის მადნიდან ცხენებით სასეირნოდ გაემგზავრნენ. მათ ახლდა ქარხნის მსახური. მოსეირნეებმა სულ ვერსი გაიარეს, სადგურ ახტალამდე აღარ მივიდნენ, შეიარეს მემამულის მ. ი. არამიანცის აგარაკში და შემდეგ უკან, მადნებისაკენ, დაბრუნდნენ. უცებ, მადნებიდან ერთის ვერსის მანძილზე, საფარიდან გამოხტა ორი შეიარაღებული კაცი. უცნობებმა ინჟენრებს, რომელთაც ზედ იარაღი არა ჰქონდათ, თოფები დაუმიზნეს, ჩამოახტუნეს ცხენებიდან და მოკვლის მუქარით ტყეში შეიყვანეს. ყაჩაღებმა ინჟენრებს ფული მოსთხოვეს, მაგრამ არ აღმოაჩნდათ. მაშინ უცნობებმა ინჟენრებს უბრძანეს, ბარათით მსახური ქარხანაში გაეგზავნათ ფულისთვის, რაც ინჟენრებმა შეასრულეს. მსახურმა ქარხნიდან 275 მან. მოიტანა და ყაჩაღებს გადასცა. ამის შემდეგ დატყვევებულნი გაანთავისუფლეს და თვით მიიმალენ.

— —

ქ. ე. ი. სარაჯიშვილმა ავადმყოფ მგოსნის ი. ევდოშვილის სამკურნალოდ 50 მან. შესწირა.

— —

კომპოზიტორი სულხანიშვილი გაემგზავრა ქართულ სახალხო სიმღერების შესაკრებად. მას თან აქვს ფონოგრაფი, რომელიც „ახალმა კლუბმა“ შეიძინა ბ. სულხანიშვილის თხოვნით სიმღერების ჩასაწერად.

— —

მხატვარ გაბაშვილს ერთს ტილოზე დაუხატია სამი ქართველ გენერლის სურათები: თ-დ. გ. ამილახვრისა, თ-დ ზ. გ. ჭავჭავაძისა და თ-დ მ. ამირაჯიბისა.

# მ ო მ ღ ე რ ა ლ ი.

I.

ღვთაებრივი ღამე იყო...

კოხტა თაიგულივით შეკრულ-შეკონილი პატარა ცემი თვალის მიმტაც სანახაობას წარმოადგენდა...

მართას ოთახის ფანჯრები ღია იყო...

შალვას საწოლს მთვარის ნაზი შუქი მიჰფენოდა...

იგი ბურანში იყო...

ნახევრად დახუჭული თვალებით გაჰყურებდა მოკრიალებულ ცის სივრცეს და ოცნებობდა...

ეზოში მოჩუხჩუხე პატარა წყარო უმღეროდა... უმღეროდა მომავალ მომღერალს, რომელსაც თავ-დავიწყებით უყვარდა მუსიკა, ბუნება...

კუდრაჭა ნიავი მშობლიური მზრუნველობით თავს ევლებოდა, ხუჭუჭა თმებს უვარცხნიდა, ციურ ნანინას ჩასჩურჩულებდა...

ფანჯარაში ყელ გადაწვდილი ვარდები ხომ ალერსითა და სურნელებით ათრობდნენ...

II.

ყმაწვილი შალიკო ერთად ერთი შვილი იყო მართასი...

მამა ადრე მოუკვდა...

რის ვაი-ვაგლახით იგი სამოქალაქო სასწავლებელში მიაბარეს...

გალობის მასწავლებელმა მასში დიდი ნიჭი დაინახა და ურჩია მშობელს სამუსიკო სკოლაში გადაეყვანა...

ერთი წლის შემდეგ ჩვენმა შალვამ ხსენებულ სასწავლებელში ამოჰყო თავი...

იგი პირველ მოწაფედ ითვლებოდა...

მისი ლირიკული ხმით მასწავლებლები აღტაცებაში მოდიოდნენ...

ამიტომაც უვლიდნენ და ზრუნავდნენ მომავალ მომღერლის სვე-ბედზე...

და რადგანაც ჩამომავლობით ჭლექის ნიშნები გამოაჩნდა, ექიმების რჩევითა და სასწავლებლის დახმარებით ზაფხულის გასატარებლად ამ აგარაკზე დასახლდნენ...

III.

სძინავს შალვას...

ესიზმრება ოდისეი—დამღერის, მღერის გატაცებით, აღფრთოვანებით...

აი, მართლაც, წამოიჭრა იგი საწოლიდან...

გამხდარ-გაყვითლებულ ხელებს მთვარისაკენ იშვერს და სრულის შემოქმედებითი ნიჭით არაკრაკებს ხმას:

—მთვარეო, ღამის ასულო,
მთვარეო, ჩემო მთვარეო;
შენთან მზიური სალამი
მთის ნიავს დავაბარეო...

ძილი გამიკრთა. ოცნებით
ვარსკვლავებს დავემყარეო;
მოვსულვარ შენდა სამღერლად,
მიძმე და შემიყვარეო...

— შალვა! შალვა!—აჩერებს მეორე ოთახიდან შემოვარდნილი გულ-შემოყრილი დედა.

—რას შვრები, შვილო! როგორ შეიძლება აგეთი თავ-დაუჭერლობა...

—რა ვქნა, დედაჩემო, თუ კი გული მიმღერის?..

—დასუსტდები, შვილო! დასუსტდები! ხომ გახსოვს ექიმის დარიგება ხშირ-ხშირად და დიდხანს ნუ იმღერებო...

—ეჰ, ექიმი, ექიმი! რა იცის ექიმმა ჩემი სწრაფვა, ჩემი წყურვილი! უკეთესია სიმღერაში ამომხდეს სული, ვიდრე დავშრე და გამოვიფიტო იმ შენ უსულგულო ექიმივით... ცეცხლი მამღერებს, გესმის დედი, ოდისეის გრძნეული ცეცხლი, რომელიც სულსა და გულს მინთებს, გრძნობას მიალებს...

—კარგია, ჩემო ბიჭიკო, კარგი! დაწექი! მოისვენე!

შალვა დაცხრა...

ძალ-მოკვეთილი ბალიშზე დაეშვა...

მის გაყვითლებულ სახეს მთვარის შუქი უფრო აფერმკრთალებდა, ანაზებდა...

IV.

—დედა!

—რა გინდა, შვილო!

—მიამბე რამე!

—რა გიამბო, დედა გენაცვალოს, რა უფრო გესიამოვნება?

—ზღაპარი, არაკი... ერთი სიტყვით, რაც გსურდეს...

—სიცილიის მპყრობელ დიონისეს სასახლეში მეჯლისი იყო.—დაიწყო მართამ—ათინელების დამარცხებით აღტყინებული ხალხი გამარჯვებას დღესასწაულობდა...

—დიდება და ძლიერება ბრძანებელს!

—სიცოცხლე და დღეგრძელობა დიონისეს!

გაიძახოდნენ მონანი მისნი...

დიონისეს კი ბოროტებით სავსე ღიმილი დასთამაშებდა. საზარელი იყო იგი...

მან გაათხრევინა ორმოები და ტყვედ წამოყვანილი ათინელები შიგ ჩააყრევინა...

იგი ყოველდღე მიდიოდა ამ ადგილას და მიწიდან ამონატან ტყვეთა ოხვრაგმინვითა სტკბებოდა...

ამ განცხრომისა და ლხინის დროს მის სასახლის წინ მემუსიკეებმა გაიარეს... დიონისემ თვალი მოჰკრა... მან მაშინათვე ბრძანება გასცა ყველანი წვეულებაზე მიეყვანათ...

ისინიც ეახლნენ...

დაუკრეს და იცეკვეს...

ერთმა მათგანმა მფლობელის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო...

იგი სულ ხუთმეტი წლისა იქნებოდა...

ეს ახალგაზრდა ლერწამივით წერწეტი ტანის ქალწული სალამურის დამკვრელი...

— ვინ გასწავლა ეგ ხმები?—ღმობიერის კილოთი ჰკითხა დიონისემ.

— ვარსკვლავებმა!—მიუგო ქალმა.

— როგორ თუ ვარსკვლავებმა!

— ყოველ ღამ, როდესაც კი შებინდდება და ცაზე ვარსკვლავები გამოჩნდებიან, მინდორში ვსეირნობ და ვიდრე თვალებში ცრემლი მომერევა, იმათ მზერაში ვარ... რაც ეხლა მე გიმღერეთ, სულ ვარსკვლავებმა მასწავლეს...

— შენი სახელი?—ჰკითხა დიონისემ.

— მელიტა, ბრძანებელო!

დიონისემ სალამური ძვირფას თვალმარგალიტით მოუჭედა, დანარჩენი დამკვრელებიც შესაფერისად დააჯილდოვა და მადლობით გამოისტუმრა...

V.

— დაგეძინა, შვილო?—ჰკითხა დედამ შალვას.

— არა, დედაჩემო, არა! განაგრძე შენი ჭირიმე, ყურს გიგდებ.

— ჰო,—ერთ მშვენიერ საღამოს, მთვარემ რომ თავი ამოჰყო, მელიტა ჩვეულებრივ გამოვიდა სახლიდან, სადაც თვისი მშობლებითა სცხოვრობდა...

იარა, იარა და ახლად მიწა მიყრილ ორმოებს კი მიუახლოვდა.

მან არაფერი იცოდა...

იქვე ერთ ზეთის ხილის ქვეშ წამოწვა და თავის მეგობარ ვარსკვლავებს დაუწყო საუბარი...

ღამის სიჩუმეში სალამურის ხმამ ბულბულის კვნესასავით გაიწკრიალა...

— „შემიბრალე!.. მიშველე!“—გაისმა ვიღაცის დასუსტებული ვედრების ხმა.

მელიტა შეკრთა...

სული განაბა...

აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ვერავინ ვერ შენიშნა...

—„შემიბრალე!“— გაიმეორა ხმამ.

შეშინებული მელიტა ფეხ ქვეშ იყურებოდა.

ხმა თითქოს დედამიწიდან ამოდიოდა.

—ვინა ხარ, ვინ!—ჩასძახა მელიტამ.

—ახალგაზრა ათინელი, თვარამეტის წლისა. სასტიკმა და ულმობელმა დიონისემ დაგვმარხა ამ ორმოებში... სიკვდილი მემძიმება... ხუთი დღე და ღამეა რაც მიწით ვიკვებები... აღსასრულის ჟამი მიახლოვდება .. შემიბრალე!.. შემიბრალე, ვინც უნდა იყო!.. ღმერთები, რომელთაც მუსიკის მადლიანი ნიჭი მოუნიჭებიათ, უეჭველია კეთილსა და სათნოიან სულსაც შთაგბერავდნენ...

—რა ვქნა, რა გიშველო... მე უბრალო, საწყალი კიცის შვილი ვარ, ჯერ ისევ ბავშვი...

—ნუ თუ ეგ მშვენიერი ხმა, რომელიც განთავისუფლების მახარობლად მომესმა, სიკვდილის ზარად უნდა გადამექცეს...

მელიტას სიბრალულით გული შეეკუმშა...

წავიდა იგი დიონისეს სასახლისაკენ და გაჩერდა...

გაისმა სალამურის ჯადოსნური ჰანგი...

ისეთი გრძნობითა და სევდით აატირა მელიტამ სალამური, რომ მტარვალის გულმა ვეღარ გაუძლო და თვისთან მიიხმო...

პატარა ქალი სიხარულით აღივსო...

იმედი მიეცა...

—სალამი დიდებულ მპყრობელსა და გვირგვინოსან დიონისეს!—შესვლისთანავე მიესალმა მესალამურე...

—სალამი და გამარჯვება სიცილიის დამამშვენებელსა და მომხიბვლელ ხელოვანს...

მელიტამ თავი მდაბლად დაუკრა.

—რას ითხოვ, რომ შეგისრულო!

—ტყვეთა განთავისუფლებას, ბრძანებელო!

—ოო, ეგ ყველა ჯილდოს აღემატება!

—სხვას არას ვითხოვ, მფლობელო სიცილიისავ!

დიონისე დაფიქრდა...

—დღე გრძელ იყავ, ხელმწიფეო!—სთქვა მელიტამ და წასვლა დააპირა.

—მოიცა! ვინც კი ცოცხალი გადარჩა ორმოებში დღეიდან ყველანი განთავისუფლდებიან!.. დეე, სადაც შენებრ ციით მოვლენილ ქალწულის ღვთიური მუსიკა ისმის, ერთხელ და სამუდამოდ შესწყდეს კვნესა-ვაების ხმა!.. მთელ ჩემს სიცოცხლეში ეს მეორეთა ვგრძნობ ბედნიერებას...

ვერავითარ ძლევამოსილებას, ვერავითარ ნადავლს ვერ შეეძლო ჩემში ამისთანა მაღალი გრძნობა აღეძრა...

მშვიდობით, მელიტა... იცოდე, არასოდეს არ დაგივიწყებ... ვიდრე დიონისე ცოცხლობს ნურაფრისა გეფიქრება.—

გაათავა დედამ და თანაც დაუმატა: აი, შვილო, რა ძალუძს მუსიკას...

პაწია ლერწმის სალამურის კვნესამ, რომელსაც სალამურივით ტან წვრილი პაწია ქალი უკრავდა, მტარვალის ქვაგულიც კი მონადირა და სიცილიაში მოსპო ადამიანთა კვნესა.

— ოჰ, ღმერთო!—აღტაცნბით წამოიძახა შალვამ, რომელიც სულ განაბული უსმენდა დედის საუბარს—მე რომ შემეძლოს იმ პატარა ქალივით ვისიმე დახსნა, ვისიმე შველა...

—ვინ იცის, შვილო, იქნება შენცა გხვდეს ისეთი ძალა და მოვალეობა, ვინ იცის...

VI

ცა ფითრდებოდა...

თვალ-ჟუჟუნა მალხაზი ვარსკვლავები ოდნავ-ღა ციალებდნენ...

დღის სინათლით შემკრთალ—აფორიაქებული ღამის სიბნელე ღრანტე-ხევებში წვებოდა...

შალვა ადრიანად ამდგარიყო...

სუსტი-გულ-მკერდი ზღვა-სიხარულითა და შვებით უღელავდა, უგანივრდებოდა...

ვიწრო ბილიკით მიდიოდა აგარაკის მახლობლად შეფენილ ნაძვის ტყისაკენ და ბუნების სიმშვენიერით ტყვედ ქმნი-

ეს სურათი შეიძინა თავად აზნაურობის დეპუტატთა საკრებულომ 1000 მანეთად.

—

„ოქროს ვერძის“ რედაქტორი აცხადებს ჟურნალის მკითხველთა საყურადღებოდ, რომ მისგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო ჟურნალის გამოცემა დროებით შეჩერებულია.

—

ბათომის დრამატიულმა საზოგადოებამ რეჟისორად მიიწვია შალვა დადიანი, რომელიც უკვე შეუდგა დასის შედგენას.

—

მთავრობის განკარგულებით დაიხურა მუშათა გაზეთები: „ლუჩი“, „პრავდა“ და „ტრუდოვოი გოლოს“. ამგვარად აუარებელი მუშა დარჩა ბეჭდვითი ორგანოდ, რომელიც მათ შრომას აშუქებდა და მათი ინტერესების გამომხატველი იყო.

—

წარსულ კვირას ქუთაისის გუბერნატორს წარუდგა გურულების დეპუტაცია. ესენი იყვნენ: ბახვის, შემოქმედის და ლიხაურის საზოგადოების წარმომადგენელნი. დეპუტაციამ სთხოვა გუბერნატორს: მოგვიხსენი მთავრობის მამასახლისები და დარაჯები, სამაგიეროდ ჩვენ ავირჩევთ მამასახლისებს და დარაჯებსაც და ერთი წლის ვადაში ერთი ყაჩაღიც აღარ დარჩება ჩვენშიო. გუბერნატორი შეპირდა მალე ჩამოვალ გურიაში და თქვენს თხოვნას დავაკმაყოფილებო.

—

მთავრობამ დაამტკიცა წესდება „თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოებისა“.

—

თბილისის გუბერნიის თავად აზნაურობას გადაუწყვეტია სთხოვოს მთავრობას, რათა მან ნება დართოს კახეთის რკინის გზის ლიანდაგის შეერთება მოავალ საუღელტეხილო გზასთან.

—

პირველი დუმის დეპუტატად ნამყოფს ისიდორე რამიშვილს მთავრობამ ნება დართო ორი თვით ჩამოვიდეს კავკასიაში. ის ასტრახანში არის გადასახლებული.

—

მეორე დუმის დეპუტატი ბ. ლომთათიძე მეტეხის ციხიდან ასტრახანში გადიყვანეს და იქ მოათავსეს სამადლოთა თავშესაფარში.

—

ექიმი ვ. მუსხელაშვილი, რომელიც მეტეხის ციხეში იყო დაპატიმრებული, 10 ივლისს განთავისუფლეს.

—

ზუგდიდში გარდაიცვალა პრინცესა სალომე მიურატისა, ასული სამეგრელოს მთავარის დავით დადიანისა.

—

ფინანსთა სამინისტროს გადაუწყვეტია ახალი 500-მან. გამოუშვას, რადგან არსებული იმდენად მარტივია ფორმით, რომ მათი გაკეთება ყველასათვის იოლიაო.

—

წელს შესრულდა 30 წელიწადი, რაც წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლა არსებობს. ამის გამო ქართველ-სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას განზრახვა აქვს ამ სკოლის იუბილე გადაიხადოს.

—

ფოთში ქართველ და ოსმალო მუშებს შეტაკება მოსვლიათ. ხუთი ქართველია დაჭრილი, ერთი მათგანი მძიმედ. ამის გამო დაუპატიმრებიათ 14 ოსმალო მუშა.

—

წ. კ. საზოგადოებამ თბილისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის გამგეობას თხოვნით მიმართა, რომ ოთხი თვით შეაჩეროს ანდრეევის ქუჩაზე მდებარე ილიასეული სახლის გაყიდვა. საზოგადოებას აზრად აქვს ან თითონ და ან რომელიმე საკულტურო საზოგადოებამ შეიძინოს იგი.

—

ქუთაისში წ. ნინოს საქალებო სასწავლებელში მთავრობამ რამოდენიმე მასწავლებელი დაითხოვა. მიზეზი არ იციან.

# ჩემს ირგვლივ.

აჰა, ჩემს ირგვლივ ყველაფერმა იცვალა ფერი.
ვარდ-ყვავილებით მოიქარგა წყაროს ნაპირი.
მზისა სხივებით აფერადდა ცისა ეთერი,
ჰალაზე მწყემსის ალუღუნდა მწუხარე სტვირი.
წყნარმა ოცნებამ არე-მარე გარემოიცვა,
შეამკო იგი ყვავილებით და მორკხვი ვნებით.
ვით მოჩვენება გაზაფხული დაეშვა ქვეყნად—
გაასვენებენ შემდეგ ცხედარს ამ გვირგვინებით.
გავყვები კუბოს თავდახრილი და მოწყენილი
გული არ იზამს კვლავ სიცოცხლით რომ ავითრთოლო.
ყველა გათავდა, ყველაფერმა იცვალა ფერი
მარტო ჩემს კვნესას განუსაზღველს არ უჩანს ბოლო!

გ. ტაბიძე.

# მუშათა გაზეთების ბედ-იღბალი.

პეტერბურგის სამოსამართლო პალატის დადგენილებით, საქმის გარჩევამდე, დახურულია მუშათა სამი გაზეთი—„მშრომელთა ხმა“, „ლუჩი“ და „პრავდა“.

ს.—დემოკრატიული გაზეთები დაარსდა რუსეთში პირველად 1905 წელს.

პირველად გამოვიდა პეტერბურგში გაზ. „რუსი მუშა“. შემდეგ მრავლად დაიწყეს გამოსვლა ამ გვარ გაზეთებმა მოსკოვში, ოდესაში, კავკასიაში და სხვ.

მეორე სათათბიროს დეპუტატის ალექსინსკის თაოსნობით გამოდიოდა პეტერბურგში მეუმრავლესთა ექვსი გაზეთი. და დეპუტატის წერეთლის თაოსნობით-მეუმცირესთა ორი ჟურნალი და ერთი გაზეთი.

ეს გაზეთები არსებობდნენ ცოტა ხანს, ვიდრე მეორე სათათბირო არსებობდა.

26 ოქტომბერს 1910 წელს მესამე სათათბიროს დეპუტატების პოლეტაევისა და პრედკალნის თაოსნობით დაარსდა პეტერბურგში გაზეთი „ვარსკვლავი“. მისი გამოცემა 14 თვის შემდეგ მოსპო სამოსამართლო პალატამ. 24 თებერვალს 1912 წელს დაარსდა „ნევის ვარსკვლავი“, რომელსაც „ვარსკვლავის“ ბედი ეწია.

22 აპრილს 1912 წელს დაარსდა გაზ. „პრავდა“, იმავე წელს 16 სექტემბერს —გაზ. „ლუჩი“, რომელსაც თაოსნობდნენ: მესამე სათათბიროს დეპუტატები—კუზნეცოვი და ასტრახანცევი და ეხლა, მეოთხე სათათბიროს დეპუტატები—სკობელევი და ჩხენკელი. გაზ. „პრავდა“-ში მუშაობდნენ დეპუტატები: მალინოვსკი, პეტროვსკი, შაგოვი, მურავინი და სხვ. სულ გამოვიდა გაზ. „პრავდა“-ს 356 ნომერი და „ლუჩი“-სა 237 ნომერი.

ერთის წლის განმავლობაში ამ გაზეთის 41 ნომერი იყო დაჭერილი და აკრძალული, ჯარიმა გადიხადა 7700 მან. და მთავრობამ ციხეში ჩასვა სამი რედაქტორი-სამ სამი თვით. 1913 წლის მაისში ამ გაზეთის 26 ნომრიდან 12 დაჭერილი იყო. რედაქტორი სამართალში მისცეს 126, 129 და 1034 მუხ. ძალით.

გაზეთის „მშრომელთა ხმის“ პირველივე ნომრისთვის (17 თებერვალს გამოვიდა) რედაქცია დააჯარიმეს 500 მან. (მანიფესტის ძალით ჯარიმა არ გადაახდევინეს) დანარჩენ 18 ნომრიდან 14 დაიჭირეს, ერთი ნომრისთვის კიდევ 500 მანეთით დააჯარიმეს და რედაქტორიც სამართალში მისცეს 129 და 1034 მუხ. ძალით.

ესეც არ აკმარეს ამ გაზეთს და ზოგიერთის ნომრის გაყიდვა, თუმცა დაჭერილი არა ყოფილა, მაინც აკრძალული იყო ბეჭდვითი საქმის ინსპექტორის მიერ.

გაზეთი არსებობდა მხოლოდ მუშათა დახმარების წყალობით. ფული მოსდიოდა მოსკოვიდან, პოლონეთიდან, კავკასიიდან და შვეიცარიიდან.

# ბარათი.

ჯერ ცოტა ხანს კიდევ გასძელ,
აიტანე ეგ ტყვეობა.
და მე მალე, მალე მოვალ—
ლხინს მოგიტანს ჩემი ტრფობა...

—

ხომ კი გახსოვს: როს პირველად
შორი ახლო მოგკარ თვალი:
უცნაურად ალვიზენი—
მომენატრა ქარიშხალი.
და იმ წამსვე გამოვქანდი
მოვაშურე მე შენს კერას...
გრიგალს მივე ჩემი თავი
და სიცოცხლე ბედის წერას..
და როს ტანჯვით ახლოს მოველ,
გადავშალე მკერდი-გული,
რომ ღონივრად ზედ მიმეკარ,
მეგრძნო ერთხელ გაზაფხული—
ამ დროს უცბად იმ ბოროტმა
გააშიშვლა ბასრი ხმალი
და დაჭრილი წავბარბაცდი—
აქეთიქით კლდე—ნაპრალი...
მაგრამ წყლული უკვე მორჩა;
კვლავ ფრთასა შლის შენი გმირი
და დღეს თუ ხვალ დაიძვრება—
ვერ შემაკრთობს ტანჯვა-ჭირი.

—

მაშ ცოტა ხანს კიდევ გასძელ,
აიტანე ეგ ტყვეობა
და მე მალე, მალე მოვალ—
ლხინს მოგიტანს ჩემი ტრფობა.

ილია რუხაძე.

# ყაზახელი ყაჩაღების შეპყრობა თბილისში.

11 ივლისს, ნაშუადღევს ორ საათზე პოლიციელებმა კატორღიდან გამოქცეულნი ყაჩაღები შუა ბაზარში ვართაზარიანის სათერძო მაღაზიაში მოამწყვდიეს. სახლს ალყა შემოარტყეს და მეზობელ სახლის სახურავზე პოლიციელები დაავყენეს, რათა იქიდან კარგად დაეჭირათ თვალ-ყური ყაჩაღებზე.

მალე გამოირკვა, რომ ყაჩაღები მაღაზიიდან კიბით სარდაფში ჩასულიყვნენ. თუმცა სარდაფს ორი კარები აქვს გასასვლელი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კარებით ვერ ისარგებლებდნენ ყაჩაღები, რადგან ისინი დახურული და კლიტე დადებული იყო. ამ გვარად ყაჩაღები სარდაფში დამწყვდეულნი აღმოჩნდნენ.

სარდაფს ეზოს მხრივ ერთი პატარა ფანჯარა აქვს. ამ ფანჯარაში შეუყვირეს პოლიციელებმა დაგვნებდითო, მაგრამ პასუხის ნაცვლად სარდაფიდან თოფის ხმა გაისმა: ამის შემდეგ პოლიციელებმა უპასუხეს. სროლის დროს სარდაფიდან მაღაზიით ქუჩაზე გამოიჭრა ერთი ყაჩაღთაგანი, ართონ ყარა-ოღლი, მაგრამ რამდენიმე ტყვია ზედიზედ მოხვდა და უსულოდ დაეცა მიწაზე. მისი ამხანაგები ჯიბგირ და ყურმანა კიდევ სარდაფში დარჩნენ და ცოტა ხანს განაგრძნობდნენ ბრძოლას, მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ ხსნა არსაით იყო, დანებება, არჩიეს. ფანჯრიდან რევოლვერები ეზოში გადმოისროლეს და ორივე პოლიციას დანებდა.

ისინი დიდძალ შეიარაღებულ რაზმით მეტეხის ციხეში გაგზავნეს. მოკლული კი მიხაილოვის საავადმყოფოში.

# რუსთა შორის.

რუსეთის გაზეთებს მეტად საყურადღებო და სამხიარულო ამბები მოაქვთ:

„პურიშკევიჩი ავად გახდა და საფრანგეთში გამგზავრა საქმიოდ“.

პურიშკევიჩს მარტო ის არ სცოდნია, რომ რევოლიუცია ევროპიდან მოაქვთ რუსეთში. ისიც გაუგია, რომ საქმიოდ საფრანგეთში წასვლა სჯობია, თუმცა საფრანგეთი ჩამორჩენილია რუსეთს ყველაფერით, იქამდე ჩამორჩენილია, რომ სახელმწიფო სათათბიროს მაგიერად პარლამენტი აქვს, რომლის წინაშე უბედური მინისტრები თავიანთ მოქმედებაში პასუხს აგებენ.

ათონის მონასტერზე რუსი ბერები აჯანყდნენ. პეტერბურგში უფიქრიათ—ბალკანეთს ისეც ცეცხლი უკიდია და რაღა მუცუზლების შეკეთება უნდაო. გაგზავნეს ჯარი გემებით, გაბაწრეს თურმე „ბუნტოვჩიკი“ ბერები და მოყავთ რუსეთში. „ბუნტოვჩიკებს“ სხვადასხვა მონასტრებში ჩასვამენ: აქ „იბუნტეთ“, ბალკანეთზე უთქვენოდაც მოგვაბეზრეს თავიო.

* * *

ყველას თავისი დარდი აწუხებს. ყველაფერს ეშველება რამე, მაგრამ იალტის საერობო გამგეობა თურმე საშინელ გაჭირვებაში ჩავარდნილა, ისეთ გაჭირვებაში, რომელსაც, მგონია, არა ეშველება რა.

გამგეობა სწერს მთავრობას:

„სულითა და გულითა გვსურს გავაშენოთ იალტის მაზრაში ჯორები, მაგრამ ხათა ეს არის, რომ ამ ფრიად სასარგებლო და იალტის მაზრისათვის საჭირო საქმისათვის საჭიროა... სახედრები. გამგეობამ მოიკითხა სახედრები რუსეთსა, საფრანგეთსა, იტალიასა, ესპანიასა! მანჯურიაში და სხვაგანაც, მაგრამ ნამდვილი სახედრები ვერსად ვერ ვიპოვენითო. საბრალო საერობო გამგეობა. დედამიწის ზურგზე სახედარი ვერ უპოვნიათ...

* * *

იქნება, მართლაც რუსეთში და ევროპაში იალტის საერობო გამგეობამ ვერსად იპოვნა, ჩვენებური სახედრები-კი უვარგისად მიაჩნია ჯორების გასაშენებლად. სამაგიეროდ, რუსეთში ერთი პედაგოგი აღმოჩენილა, რომლის ბადალი ჯერ არ დაბადებულა მთელ დედა მიწის ზურგზე.

ასეთი პედაგოგი შემთხვევით აღმოაჩინა კიევის გამოფენამ. ეს გახლავთ ლუცკის გიმნაზიის მასწავლებელი ბატონი ვოლკოვიჩი. ამ პედაგოგს გაუგზავნია გამოფენაზე აუარებელი საფიზიკო მანქანები. ყველას ზედ ეწერა სახელი და გვარი გიმნაზიის იმ მოწაფისა, რომელმაც ვითომ თავისი ხელით გააკეთა მანქანა.

ყველას უკვირდა, ასეთი მშვენიერი მანქანები როგორ გააკეთეს გიმნაზიელებმაო. რა თქმა უნდა, ბ. ვოლკოვიჩი დიდ ჯილდოს მიიღებდა, ვითარცა საუკეთესო მასწავლებელი, სახელს გაითქვამდა, მთელ რუსეთში და დაწინაურდებოდა სამსახურში, რომ... უმადურ მოწაფეებს მისთვის ყელი არ გამოეჭრათ... დანით კი არა, წერილით...

გიმნაზიელებმა კიევის ერთს გაზეთს შემდეგი წერილი მისწერეს:

„ეგ მანქანები ჩვენი გაკეთებული არ გახლავთ. ბევრი მათგანი გაკეთებულია აქაურ ოსტატების მიერ (სვობოდა, სტანიკა, ბარკაცკი და სხვ.) ზოგი-კი დაბარებულია სხვადასხვა კონტორიდან, (ტრინდინის მაღაზია მოსკოვში, ფერდინანდ ენრიკე ბერლინში და სხვა). ჩვენ მხოლოდ ამ მანქანებზე დავაკარით ფირფიტები და ზედ წავაწერეთ ჩვენი გვარები. ასე გვიბრძანა მასწავლებელმა ვოლკოვიჩმა. ჩვენც დავემორჩილედ, რადგანაც ურჩობისათვის გვემუქრებოდა ცუდ ნიშანს დაგისვამთო.

„ეხლა კი, როდესაც შევიტყეთ, რომ ბ. ვოლკოვიჩი მთელ რუსეთს ატყუებს ვითომ გამოფენაზე გამოგზავნილი მანქანები მისი მოწაფეების მიერ არის გაკეთებული, არ შეგვიძლიან ხმა არ ამოვიღოთ და უნდა ვამცნოთ ქვეყანას ბ. ვოლკოვიჩის „მატყუარობა“. ამ ოინის ამბავი სამოსწავლო ოლქის მზრუნველსაც გაუგზავნეთ“.

ნეტა რას იზამს ეხლა ბატონი მზრუნველი? რაღა თქმა უნდა, ან სამსახურიდან დაითხოვოს, ან სხვაგან სადმე გადაიყვანს, თუნდა იალტის მაზრაში. იალტის საერობო გამგეობას, უეჭველია, ჯორების გაშენების გარდა, სხვა საქმეც ბევრი აქვს, და ნუ თუ ბ. ვოლკოვიჩისთანა ოინბაზ კაცს ვერაფერში გამოიყენებს?

* * *

„უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწიაო“—სწორედ ცარიცინის მაზრის გლეხებზე ითქმის. იქაური კორესპონდენტი სწერს ერთს გაზეთს. ცარიცინის მაზრას მთელის უბედურება... კარგი მოსავლისაგან. სამი წელიწადია, რაც ხეირიანი მოსავალი არა გვღირსებია. წელს ბედმა გაგვიღიმა—მშვენიერი მოსავალია პურისა, მაგრამ ბედმაც ვერაფერი გვიშველა. გლეხი კაცი ისე დაუძლურდა, რომ კარგი მოსავალი კი ვერ უშველის, უარესად გაადატაკებს. გლეხს ფული სულ არა აქვს, ფული ძვირია, მეტად ესაჭიროება და პურის ფასი ამიტომ მეტად მცირეა. ხორბალი— 1 მ. 50 კ. მაგიერ ეხლავე 90 კ. იყიდება ფუთი. საუბედუროდ გლეხობას სამეურნეო მანქანებს ვერავინ მიაწოდებს. ერობამ მანქანები უკვე გაყიდა. ფაბრიკანტები გვწერენ იმდენი მანქანა შემოგვიკვეთეს წელს, რომ კარგია თუ შემოკვეთილის გამოგზავნა მოვასწარითო. ამასთან მუშა ხელი ძლიერ გაძვირდა: მამაკაცი დღეში 2 მ. —2 მ. 50 კ. თხოულობს, დედაკაცი 1 მ. 50 კ. დიდის გაჭირვების გამო გლეხები ხვალინდელ მოსავალს დღესვე ჰყიდიან. აბა ეს გახლავთ—„ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო“.

# საზღვარ-გარედ.

პრე-სენ-ჟერვეში, ამ დღეებში უდიდესი დემონსტრაცია მოახდინეს ახლად მიღებულ სამხედრო კანონის წინააღმდეგ სოციალისტებმა და სინდიკალისტებმა ერთად. პროლეტარიატის ეს ორი ორგანიზაცია, რომელთა შორის არ სუფევს სასურველი თანხმობა, ამ ჟამად შეერთდნენ და განაცხადეს თვისი პროტესტი შეიარაღებისა და სამხედრო სამსახურის ვადის მომატების წინააღმდეგ. მათ ბანი მისცეს პარიზის მუშებმა და აუარებელი ხალხი შეგროვდა სენ-ჟერვეს მინდორზე.

სენ ჟერვე ეკუთვნის კომუნას, რომლის უმრავლესობას სოციალისტები შეადგენენ. ამიტომ აქ სოციალისტები ისე გრძნობდნენ თავს, ვითომ საკუთარ სახლში ყოფილიყვნენ. რაღა თქმა უნდა, რომ სოციალისტთა კომუნალურმა საბჭომ მუშებს სრული თავისუფლება მიანიჭა. პარიზის პოლიცია, რომელიც მუნიციპალიტეტს არ ექვემდებარება, პარიზში არავის აძლევს ნებას ქუჩაში წითელ დროშის გამოტანას. სენ-ჟერვეში კი ამის დამშლელი არავინ არის.

გაისმა საყვირის ხმა, ავიდნენ ტრიბუნებზე ორატორები და მრავალ ადგილას გაისმა სარევოლუციო სიტყვები. აუარებელი ხალხი უსმენდა, რაღა თქმა უნდა, ჟორესს. ჟორესებული მძლავრი, მჭევრმეტყველი ფრაზები ისე მოქმედებდა ხალხზე, როგორც ზარბაზნის ტყვია. პასუხად თითეულ ფრაზაზე ისმოდა აღტაცებული ტაშისცემა.

„მთავრობას რომ საკმაო გონიერება ჰქონდეს, საერთაშორისო დავის გადაწყვეტას მიანდობდა განათლებულ საზოგადოებას და ბოროტ-მოქმედება მოისპობოდა“.

„შეხედეთ ბალკანეთს. გუშინდელი მეგობრები დღეს ერთმანეთის სისხლსა სვამენ“.

„ამავე დროს ბულგარეთში რევოლიუცია მზადდება“.

„რა დიდი გაფრთხილებაა ეს ყველა ქვეყნის მთავრობისათვის“.

გათავდა სიტყვები. მიიღეს პროტესტის რეზოლიუციები წინააღმდეგ მილიტარიზმისა. კიდევ გაისმა საყვირის ხმა და ხალხი დაიშალა სარევოლიუციო სიმღერით.

—

ინგლისის სუფრაჟისტკები აღარა ხუმრობენ. ამ დღეებში სუფრაჟისტკამ ედით-რიგბიმ ცეცხლი წაუკიდა ლივერპულის მილიონერის ლევერის სასახლეს. ცეცხლში დაიწვა სხვადასხვა ხელოვნურ ნაწარმოების კოლექცია, ღირებული 200.000 მანათად. ცეცხლის წამკიდებელი ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ ლივერპულში საქმის გარჩევის დროს, როდესაც ამ სუფრაჟისტკას აბრალებდნენ მეორე სასახლის წაკიდებას, ედით-რიგბიმ თვითონ განაცხადა—ლევერის სასახლესაც მე წავუკიდე ცეცხლიო. „მე მინდოდა კიდევ ერთხელ დამესაბუთებინა ის უძველესი ჭეშმარიტებაო,—სთქვა ბრალდებულმა, რომ ვერავითარი საშუალება ვერ გიშველით სუფრაჟისტკებთან ბრძოლაში. ჩვენ შეგვიძლიან დავწვათ ყოველი სასახლე. ლევერის სასახლეს ჩემის ხელით წავუკიდე ცეცხლი. მე მხოლოდ მსურს დავეკითხო ლევერს: რა სჯობია? მის სახლში ინახებოდეს გამოუსადეგარი ნივთები, თუ ჩირაღდნად გადიქცეს, რათა მოაგონოს მეფეს, რომ ინგლისის რამდენიმე მილიონი დედა-კაცი ელოდება და ვერა ღირსებია თვის უფლებათა მიღებას. სამწუხაროდ, დარბაზში თვით ლევერი არა ყოფილა და აბა ვინ უპასუხებდა გათამამებულ სუფრაჟისტკას.

—

ლი აღტაცებით მიიმღერდა შემდეგ ჰიმნს:

—ვიშ, შენს ხილვას!
რა ტურფა ხარ,
ჩემი ქვეყნის
განთიადო!..
აქათქათდი,
ალაქაქდი
გულ-წითელა
ცისკრის ვარდო!..

სიმღერა შესწყდა ..

დაღლილ-დაქანცული შალვა ტყის მწვერვალს მოევლო და იქ შეისვენა. .

სდუმდა გარემო...

სდუმდა თვით შალვაც..

იგი ოცნებაში წასულიყო და გაბრწყინვებული თვალებით ალის ფრად მოლაღლადე აღმოსავლეთს გაჰყურებდა.

მცირე ხნის შემდეგ მაღლობზე მწოლიარე შალვა ისევ ფეხზე წამოდგა, ლაღად გადმოჰხედა ტყის ფერდობებში გველივით დაკლაკნულ შარა გზასა და გულჩამთხრობი მწუხარებით ჩაარაკრაკა ურმული:

—ჰირიმე, შენი ცისკარო,
გამთენებელო ღამისავ;
დღიურ სინათლის მორბედო,
ამცილებელო ხრამისავ ..

გზა გამიკვლიე, გენაცვა,
არ გადამჩეხო კლდეზედა;
არ ამიცრემლო ცოლ-შვილი,
გლოვად არ დასხა ჩემზედა ..

ჰამო, გამიწით ხარებო,
ჰირიმე თქვენი ქედისა;
მოძმენო, მოზიარენო,
გლეხ-კაცის დუხჭირ ბედისა...

არ გაგეყრებით გენაცვალთ,
ჭირში არ დაგეზარებით,
თქვენითა ვცოცხლობთ და მკვდარნიც
თქვენს მიწას მივებარებით...

VII

—წკარა, წკარა! ჩქარა, ჩქარა! წკარა, წკარა! ჩქარა, ჩქარა!—ზარების ჟღარუნითა და ცხენების თქარა-თქურით მოჰქროდა საფოსტო ეტლი, რომლითაც მოხელეთა და სტრაჟნიკებს ათასი თუმანი ფული მოჰქონდათ.

—ნეტავ, ვინ არის ი ღვთიური, რომ ამ კეკლუც არე-მარეში ასე უხვად ჰფანტავს ხმა-ტკბილ ჰანგებს და გრძნებით აჯადოვებს გამვლელ-გამომვლელთ.—სთქვა ერთმა მათგანმა და კისერი იქით მიიღერა, საიდანაც სიმღერა მოისმოდა.

—ახ, რა კარგია ეხლა მისი მოსმენა —ინატრა მეორემ.

—დრო და თავისუფლება უნდა ქვქონდეს, რომ დავსტკბეთ—დაუმატა მესამემ და მიეფარნენ აჭოჩრილ ტყეს.

შალვა კი მღეროდა, მღეროდა ოლიმპიური ექსტაზითა და ანდამატური ძლიერებით. დაბლა ტყის ძირში, შარა გზის ნაპირას იდგა, ხის ქვეშ თოფზე დაყრდნობილი ვაჟკაცი და ფიქრს გაეტაცნა.

ურმული მისწყდა...

შეიარაღებული უცნობი გონს მოვიდა, ღრმად ამოიოხრა და თავი მაღლა აიღო...

ზევიდან მომავალი შალვა წინ შეეხეჩა...

შეკრთა...

თმა ყალყზე დაუდგა...

—გამარჯობა შენი! ამაყად მიესალმა თოფ-იარაღში ჩასხმული ჭაბუკი.

—ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს—ცოტა არ იყოს შეშინებულის ხმით მიუგო შალვამ და უკან დაიხია.

—ღმერთმა კი არა და შენ კი მომიშალე... ღმერთს რომ ჩემი გამარჯვება სდომოდა, შენ მაგ სიმღერის ნიჭით არ დაგაჯილდოვებდა..

შალვა ვერაფერს მიხვდა...

—ვინა ხარ, ვისი შვილი ხარ, ყმაწვილო!—ჰკითხა უცნობმა.

—მე ერთი ავადმყოფი ტლუ ბიჭი ვარ! შენ ვიღა ხარ? მონადირე?..

—ხო, მონადირე!

—განა აქ ნადირი მოიპოვება?

—არა, მაგრამ კარგი მონადირე ხანდისხან წააწყდება ხოლმე.

—მერე ცოდო არ არის? არ გენანებათ?

—ხა, ხა, ხა, ხა!—მწარედ გაეცინა—განა მე შემიბრალეს, დამინდეს? მაგრამ, ეჰ... თავი გამანებე, ძმაო... ღმერთს მადლობა შესწირე, რომ ასე უვნებლად მიხვალ...

შალვა განცვიფრებით უსმენდა...

ვერაფერი გაეგო...

—მე ყაჩაღი ვარ—დაიწყო ისევ უცნობმა—დღეს აქ ფოსტის ეტლს უნდა დავცემოდი გასაძარცვად... შენმა ურმულმა ისე დამატყვევა, ისე დამავიწყა თავი, რომ ვერც კი გავიგე, როგორ გაიარა...

შალვას ნაცრის ფერი დაედო...

ძაგძაგმა აიტანა...

—ნუ გეშინიან... თუმცა დამამარცხე, მაზარალე, მაგრამ სამაგიეროდ ბევრი მწარ ტკბილი სიამოვნებაც მაგრძნობინე.. ვინ იცის, რა არ განვიცადე, რა არ აღმიძარ შენი სიმღერით.. ეჰ, ძმაო, ძმაო.. შენმა ნაღვლიანმა ურმულმა მეც დამალონა, მეც ამიშალა სულის კუნჭულში მითვლემილი წყლული... მომაგონე ის ბედნიერი და ნეტარი დრო, როცა მეც ურმის კოფოზე ვიჯექი და ჩემს ვარამს, ჩემს დარდსა და წუხილს, შენებრ მწუხარედ, შენებრ მოთქმით დავღუღუნებდი ჩემთვის... მომაგონდა სოფელი, ტოლი ბიჭები, ურმის ჭრიალი, შოლტის ტყლაშუნი, ჩემი მიმქრალი კერა და... ეჰ, წადი ძმაო, წადი... კურთხეულ იყოს შენი მშობელი... გამარჯვებით გამყოფოს ღმერთმა!—გამოემშვიდობა ყაჩაღი, თოფი მხარზე მოიგდო და ფიქრ-ჩათხრობილი, მძიმე ნაბიჯით გაჰყვა მთისაკენ მიმავალ ვიწრო ბილიკს...

ქ. ქუჩიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მებალეთა მდგომარეობა.

ახლანდელ დროში რომელი დარგის მუშების მდგომარეობა არის სასურველად მოწყობილი, დონეზე დაყენებული და შრომის პირობებით გაუმჯობესებული, რომ მებალეთა მდგომარეობა იყოს. მებალის სამუშაო დრო განებივრებულ პატრონებზეა დამოკიდებული. რამდენიც სურს, იმდენ ხანს ამუშავებს თავის მუშებს. ამიტომაც, რამდენიც ბალია, იმდენ ნაირად არის განსაზღვრული სამუშაო დრო.

ერთ ბალში თუ ათ საათს მუშაობენ მუშემი, მეორეში თორმეტს და სხვაგან კი დილის რიჟრაჟიდან შებინდებამდის. ამ განუსაზღვრელი შრომის მიუხედავად, მატერიალურის მხრით არ არიან დაჯილდოებული მათი შრომის მიხედვით. დღიურებს ეძლევა სამი აბაზიდან—ოთხ აბაზამდე. თვიურებს—12 მ. 30 მანეთამდე. ამ უმნიშვნელო ჯამაგირში შრომობენ განუსაზღვრელ დროს ბალის ნესტიან ნიადაგზე, რომელიც მეტად აზიანებს მათ სხეულს. როდესაც მუშა დაუძლურდება მოხუცების გამო ან ავადმყოფობისაგან, პატრონი ან ქუჩას უჩვენებს და ან კიდე სოფლად გამგზავრებას ურჩევს.

ამ შემთხვევაში, თვითონ ბალში მომუშავე მუშებმა უნდა გააუმჯობესონ თავიანთი საქმე და მდგომარეობა.

საჭიროა მტკიცედ და ლეგალურად შეკავშირება პროფესიონალურად, რომ ოდნავად მაინც შეამცირონ განუსაზღვრელი შრომის დრო და გაადიდონ შრომის ფასი, რომ შეიძლებოდეს ადამიანურად მუშაობა და ცხოვრება.

განუსაზღვრელ დროს მუშაობას რომ ყურადღება არ მივაქციოთ, როგორ ეკონომიით ხარჯი დასჭირდება იმ მუშას, რომელსაც სამი აბაზი ეძლევა დღეში?..

ამ მცირე ხელფასის მიუხედავათ, როდესაც მუშა დაუძლურდება, მაშინ მატერიალურად და ფიზიკურადაც დაუძლურებულმა სოფელს უნდა მიაშუროს.

ყველა ამას მაშინ მოეღება ბოლო, როდესაც დაიარსებენ პროფესიონალურ კავშირს.

საჭიროა საქმის დაწყება და მაგალითის ჩვენება, რომ მსურველები მიიზიდონ და იმედია აღმოჩნდებიან მებალეებში ცოტად თუ ბევრად განვითარებული და საქმის მცოდნე პირები და ერთ-ურთის დახმარებით მოიწყონ ლეგალური პროფესიონალური კავშირი.

Lotos.

# საქართველოს ამბები.

**დ. ზუგდიდი.** (სამეგრელო) იყო დრო, როდესაც ზუგდიდი ამაყობდა თავის საქალებო ორკლასიანი სკოლით, სადაც ყოველ წლობით ორასამდე მოსწავლე სწავლობდა. მცხოვრებნი დიდის აღტაცებით აძლევდენ თავიანთ შვილებს ამ სასწავლებელში. აგრეთვე ამ სასწავლებელს ეტანებოდნენ პროვინციებიდან, როგორც მაგ., ანაკლიაა, წალენჯიხა, ხობი, ხეთა და სხვ. მდაბიო ხალხისთვის ეს სასწავლებელი იყო ბურჯი გონებრივ აღზდის მხრით, სადაც შესაფერისად ჰქონდა დათმობილი ადგილი ქართულ ენას. ადგილობრივი მცხოვრებნი დიდ საგონებელში ჩააგდო ამ სკოლის სხვაგან გადატანამ.

ვეჩე.

**ს. ჯვარი** (ზუგდიდის მაზრა.) ჯვარს სახნავ-სათესი ადგილები ნაყოფიერი აქვს მდინარე ენგურს სვანეთის ტყით მდიდარი მთებიდან მონაჭერი ხეები მოაქვს და აქ ჩერდება. ნაწილი აქვე არსებულ ქარხნებში იხერხება, დანარჩენი კი მიაქვთ. ხუთი წელიწადია, რაც აქ დიდი პატარა სვანეთის ახალ გზას აკეთებენ და კარგ ხელ- ფასს იღებენ მეფუტკრეობა და პირუტყვის მოშენება ძალიან გავრცელებულია, რადგანაც ადგილის მდებარეობა ხელს უწყობს. ქალები აკეთებენ ჩოხებს, ქუდებს და ნაბდებს.

აქ არსებობს ერთად ერთი ორკლასიანი სამრევლო სასწავლებელი და ესეც ძლივსღა სულთქავს. სწავლას არ ეტანებიან; სკოლის ცალ-თვალით უყურებენ, რის გამო საკმაო მოწაფეები არა ჰყავს ამ სასწავლებელს.

წარსულ წელში ჩაჩიბაიამ გახსნა აქ აფთიაქი და ფერშალიც ჩამოიყვანა.

გაზეთები ჯვარში ჯერ არა მიდის მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდიდან მშვენიერი გზაა და სამი ოთხი სამგზავრო დელეჟანი დადის.

ცაგერიდან სვანეთის ფოსტა ჯვარში გადმოაქვთ, რადგანაც ახალი გზის გაკეთება უკვე სრულდება. ელექტრო-ლითონის წყლის დასამზადებელი ქარხანის გახსნასაც ლამობენ ფოთელები მდინარე ენგურზე. ინჟენერები ამტკიცებენ, რომ ჯვარის მთებში ნახშირის, გოგირდის და ვერცხლის მადნები არისო.

ი. ხუბუტია.

**დ. ხაშური** (გორის მაზრა) მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ხაშურში გახსნილია სავაჟო ექვსკლასიანი პროგიმნაზია, სადაც დღეს სამასამდე მოსწავლე სწავლობს. წელს მეექვსე კლასიც მოთავდა; მე VI-ში 15 მოწაფე გადავიდა და მსურველთა რიცხვი როგორც მეექვსეში ისე ყველა კლასებში აუარებელია.

სამოსწავლო მთავრობა კმაყოფილია ამ პროგიმნაზიით. სარევიზიოთ გამოგზავნილი პირები კმაყოფილი დარჩნენ, როგორც სკოლის წეს წყობილებით, ის სწავლის წესიერად დაყენებით. მთავრობამ სიამოვნებით მიიღო ადგილობრივი საგიმ. კომიტეტის წინადადება, პროგიმნაზიის გიმნაზიად გადაკეთების შესახებ და მას წინადადება გამოუგზავნა: გიმნაზიისათვის შენობა ააგეთო. თუ ეს შესრულდა, რასაკვირველია, დაბისათვის ამაზე მეტი ბედნიერება რა იქნება! ხაშურელებს არ გაუძნელდებათ ამ წინადადების შესრულება, რადგანაც პროგიმნაზიის შემოსავლიდან მორჩენილი ფული ხელს კარგად მოაცვლევინებს. რასაკვირველია, წინადადების მიღებისათანავე კომიტეტის წევრებმა თათბირი გამართეს, თუ სად ააგონ შენობა ამ საკითხმა მათ შორის ერთი ალიაქოთი გამოიწვია და აგერ ნახევარი წელიწადი შესრულდა და ჯერ არაფერი გადაუწყვეტიათ. ზოგი სურამის და ხაშურის შუა აგების მომხრეა, ზოგი მთისკენ მიიწევა, ზოგი ახლო სოფლებისკენ;

თუ დანიშნულ ვადაზე შენობა ვერ ჩააბარეს, მომავალ (1914) წელს მეშვიდე კლასი არ გაიღება. მოგეხსენებათ, ახლა გიმნაზიებში ადგილები ნაკლებად არის და ოცზე მეტ აქაურ პროგიმნაზიაში სწავლა დამთავრებულ ყმაწვილებს უნდა ეცადონ არ დაებნეს გზა. მაში ბევრი ხაშურის მცხოვრებნია ისეთები, რომელთაც უსახსრობის გამო არ შეეძლებათ სხვაგან განათლების მიღება.

მეგრი ა.

**სოფ. ბარალეთი** (ჯავახეთი) სოფელი ბარალეთი ერთი შესანიშნავი სოფელთაგანია მთელ ჯავახეთში, იგი ქ. ახალ ქალაქიდან სამხრ ეთით მდებარეობს 203 ვერსის მანძილზე, ეს სოფელი ვახუშტის გეოგრაფიაში ქალაქად იხსენიება. თვით იმ ადგილს, სადაც სოფელ ი მდებარობს „მეშაჯავახეთი“ ეწოდება (ტყიანი ჯავახეთი) ეს სახელი იმის უტყუარი ნიშანია, რომ ძველად ჯავახეთი ტყიან ადგილს წარმოადგენდა. ამჟამად კი ტყის ნატამალიც არა სჩანს· გატიტვლებული, საცოდავად გახრიოკებული ველ-მინდვრებია. არის ისეთი საბუთებიც, რომელიც ღაღადებს, რომ ძველ ად აქ ვენახებიც ყოფილა, ეხლაც სოფ. საროში მტკვრის პირას ახალციხე-ახალაქალაქის გზატკეცილზე ვენახებია გაშენებული. ყურძენს კარგს იხხამს, მაგრამ შემოდგომის სიცივე უსწრობს და ყურძენი მკუხე რჩება. ამის გამო თვით ღვინოც მლაშე დგება. ტყეზე მოგახსენებდით. ამ ჟამად სოფელი ბაზალეთი დაშორებულია ტყეზე (ბაკურიანისა) 303 ვერსით. სოფ. ბაზალეთში მცხოვრებნი ქართველებია და ნაწილი სომხები. სოფელს შუაში ჩამოუდის წყალი, რომელშიაც გემრიელი თევზი ბუდობს. მცხოვრებნი მისდევენ ხვნა თესვას, მესაქონლეობას. აქვე ამზადებენ სხვა და სხვა ხის სამეურნეო იარაღებს. მისდევენ ფიჩვ-ხალიჩა-ხურჯინების ქსოვას, რომელიც ზედმიწევნით იციან. ჰქსოვენ აგრეთვე შალებს, რომლიდგანაც ტანისამოსს ამზადებენ. აქვე მოქმედობს რამდენიმე საწვრიმალო დუქანი და ერთიც სამიკიტნო. ყველა ამათ მხოლოდ ერთი მიზანი, ერთი მისწარაფება დაუსახავთ: „ძვირად და უვარგისი“. ეს უკანასკნელი კი გლეხ ს დამღუპველია, მაგრამ რა გაეწყობა. იგი მთელი თავისი ქონებით, ნაწარმოებით იმ დუქნებს ეკუთვნის. აი მშვენიერი ნიადაგი საამხანაგო კოოპერატიული დუქნის დასაარსებლად. აქ მშვენივრად მოეწყობა იგი და თვით ხალხიც საკმაოდ შესმენილია.

აქაურები შედარებით საკმაოდ მისდევენ ექიმობას წამლობას და შეუგნიათ კიდეც მისი სარგებლობა-აუცილებლობა. ამ სოფელშივე იმყოფება ბოქაული და სასოფლო სამმართველო· აქვე კარგი ნიადაგია სამკითხველოს დასაარსებლად. და სამეურნეო იარაღის და მანქანების საწყობისათვის. ამაზე ვრცლად შემდეგ.

ქსნისპირელი

**დ. ოჩამჩირე.** ამ ბოლო ხანებში დაბა ოჩამჩირეს გამოცოცხლება ეტყობა. იანვრის პირველ რიცხვებში აქ გაიხსნა განყოფილება ქ. შ. წ. კ. გ. ს. საზოგადოების გამგეობამ თავის მახლობელ. მიზნათ დაისახა დ. ოჩამჩირეში წიგნთსაცავ სამკითხველოს გახსნა. გაგზავნილ იქნა ნებართვისათვის ქაღალდები, სადაც ჯერ არს. როგორც იქნა პირველ ივნისს მოვიდა ნებართვა. გამგეობამაც არ დააყოვნა სამკითხველოს გახსნა და თავის სხდომაზე დაადგინა გამოიწეროს ჯერჯერობით შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „სახალხო გაზეთი“ „თემი“ „განათლება“ „ჯეჯილი“ „Закавказская Рѣчь“ „იმერეთი“ „სიმართლის ხმა“ „ოქროს ვერძი“ „Русское Слово“ Кавказъ“ „პატრი“ (ბერძნული) „ილბალი“ (თათრული) „ბათუმის გაზეთი“ „Сухумскій Вѣстникъ“ და „ორიზონ“ (სომხური).

9 ივნისს მოხდა ოფიციალური გახსნა და კურთხევა წიგნთსაცავ სამკითხველოსი, რომლის შემდეგ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ადგილობრივ წ. კ. გ. ს. განყოფილების თავმჯდომარემ ბ. თ. ი. ხუსკივაძემ: მიულოცა ფრიად სასარგებლო დაწესებულების გახსნა და იმედი გამოსთქვა, რომ საზოგადოება ხელს შეუწყობს მის ჯეროვან ნიადაგზე დაყენებას.

ამავე დღეს დანიშნული იყო დაბის დეპუტატების არჩევნები. ამ მოკლე დროში ეს მეორეჯერ იმართება ასეთი კრება მაგრამ საქმე დაბოლოვებას მაინც ვერ ეღირსა.

„დაბის დეპუტატები“, „მმართველობა“ —ეს კითხვა ოჩამჩირელებისათვის თავ სატეხ კითხვად გადაიქცა უკანასკნელ წლებში.

მესამე წელიწადია, რაც შუამდგომლობენ თვითმმართველობის შემოღებაზედ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაფერს ვეღირსეთ. ჩვენ მეზობელ დაბას (გუდაუთი) რომელი თავის შემოსავლით და განვითარებით ვერაფრით გაუსწრებს ოჩამჩირეს, უკვე ნება დართეს შემოიღონ თვითმართველობა. უკანასკნელი გარემოება ოჩამჩირელებსაც აძლევს საბუთს, რომ თუ მეცადინეობას, ენერგიას და უნარს გამოიჩენენ, შეუძლიანთ თვითმართველობა მოიპოვონ. სიმართლე უნდა ითქვას კი, რომ ორი წლის არჩეულმა კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე და საქმის წარმოება, რათა შემოღებულ ყოფილიყო თვითმმართველობა, ვერ გამოიჩინა საკმაო უნარი და ენერგია ამ საქმეში. და ერთხელ აღძრული საკითხი ჩვეულებრივად მიფუჩეჩდა, ჩვენი დადგენილება-მოთხოვნილებები ამოიდვა მაუდის ქვეშ მთავრობის კანცელარიაში. 9 ივლისს უკვე 1 წელი შეუსრულდა დეპუტატებს და დანიშნული იყო ახალი დეპუტატების არჩევნები. როგორც კრებაზე გამოირკვა საზოგადოება უკმაყოფილოა ძველ დეპუტატებზე. მათ უკიჟინებენ უმოქმედებას და სხვა. მაგრამ წარმოიდგინეთ ახალი სადეპუტატო პირებიც ვერ გამოძებნეს, თუმცა იმ უფლებით, რომლითაც აღჭურვილი არიან დღევანდელი დეპუტატები. დაბის მმართველობაში, შორს წასვლა შეუძლებელია, მაგრამ საზოგადოებას მაინც სურდა ისეთი გაგებული პირების არჩევა, რომლებიც, თუ დღევანდელ მმართველობაში ვერას გახდებოდნენ, გაეცნობოდენ საქმეს და ეცდებოდნენ ქალაქურ თვითმართველობის შემოღებას. ამ მიზნით სთხოვეს ადგილობრივ ნოტარიუს ბ. თ. ი. ხუსკივაძეს, რომ დათანხმებულიყო დეპუტატათ არჩევაზე. მ. ბ. თ. ხუსკივაძე ამაზედ არ დათანხმდა. რაკი ბ. ხუსკივაძესგან უარი მიიღეს, კრება აირ-დაირია. სადეპუტატო პირები ველარ მოძებნა. ასეთ უხერხულ მდგომარეობიდგან დაიხსნა საზოგადოება ბოქაულმა, რომელმაც კრება დახურულად გამოაცხადა და დეპუტატების არჩევა გადასდო შემდეგისათვის.

მ—ლა.

**ს. თელოვანი** (თბილისის მაზრა) თელოვანი ს. დიღომიდან ხუთი ვერსი·ს მანძილზეა ის პატარა, მაგრამ ლამაზი სოფელია. ირგვლივ შემორტყმული აქვს მშვენიერი ტყე. მდებარეობა მეტად მიმზიდველი აქვს. განსაკუთრებით კარგი სანახავია ამ სოფლის ახლო მდებარე ჩანჩქერი. ეს ჩანჩქერი თორმეტი ადლის სიმაღლიდან გადმოჩქუხს. ქვევით მთის ძირას საბანაო არის გაკეთებული. ამ სოფელში სააგარაკო ბინებია, სადაც ზაფხულობით თბილისიდან მოაგარაკენი იკრიბებიან. ასეთ კოხტა სოფელს თბილისის ახლო-მახლო იშვიათად შეხვდებით.

ვ ა—ლი.

# ბიბლიოგრაფია.

**ორთაჭალის თაიგული.** გამოცემა მიხეილ ანდრიას ძის ზარიძისა. როგორცა სჩანს, ეს მიხეილ ანდრიასძე ზარიძე, რომელსაც ჩვენი გაზეთის მკითხველნი არ იცნობენ, კარგად უნდა იყოს ცნობილი მის გამოცემის მკითხველთა შორის. „ორთაჭალის თაიგულზე“ აწერია: „გამოცემა № 71“. ეჭვს გარეშეა, რომ დანარჩენი სამოცდაათი გამოცემაც ისეთივე იქნებოდა, როგორიც არის № 71. უკანასკნელ გამოცემაში მოთავსებულია პირველად ქართული ასოებით რაღაც თათრული სიმღერა „ბაღჩადან გულლარ“ —ვიღაც ედიგაროვისა. ვისთვისა და რისთვის არის საჭირო ასეთი სიმღერები?

ამის პასუხის მოცემა შეუძლიან მხოლოდ თვით გამომცემელს. ალბად მიხეილ ანდრიას ძე ზარის კარგად იცნობს თავის მუშტარს და იცის, რა საქონელიც უნდა მიაწოდოს. ვეჭვობ-კი რომ წუნი არ დადოს მისმა მუშტარმა მეორე ამ გვარ სიმღერას, რომელსაც გამომცემელი უწოდებს: „ჰაშტარხანის სიმღერას“.

ჰაშტარხანის გზაზედა, გემი ბანდდება
ვაჰ, შიგ მჯდომი გული, (?) მარად ლონდება
და მე მასი (?) ეშხი არა მშორდება!
იქვე დახატულია ნავში მჯდომი გული.

და შემდეგ მრავალჯერ არის გამეორებული ეს ტაეპი:

„ვიწვი და მე დავიწვი, ვითარ ფარვანა:
ვაჰ, თავი შევირცხვინე შენთვის ყველგანა.

ბოლოს ორთაჭალის მგოსანი სწუხს:

„ვაჰ ეშხის გლახაკი ვარ შენ გამიკითხე,
რატომ შენი ბეჩარა არ მოკითხე...

ბესიკის სიმღერები ხომ ისეა დამახინჯებული, რომ თვით ზარიძის სიმღერები ეგონება მკითხველს. დამახინჯებულია აგრეთვე წიგნაკის ბოლოს ქართული ლექსი აკაკისა „სიზმარი“.

„ერთხელ მხოლოთ **ციხა** (?) ძილში...
. . . მარცხნით ნესტარ (?) დარიჯანი.
როგორც მთვარე ვარსკვლავები..
შამოვიდა რუსთაველი, **ვეფხვის ტყავი ტყავოსანი** ..
. . . . მოწიწება დაიჩოქა...

ვურჩევთ მიხეილ ანდრიას ძეს ორთაჭალაში ქეიფს თაიგულითა, დუდუკით ან არღნით, გამომცემლობას კი სჯობია თავი დაანებოს, გამოეთხოვოს სამუდამოდ და უთხრას მისთვის შეუფერებელ და ხელმიუწდომელ საქმეს:

„ვაჰ, თავი შევირცხვინე შენთვის ყველგანა.. ხუმრობა იქით იყოს და მართლა რომ დიდი სირცხვილია ამ გვარ წიგნაკების გამოცემა.

ნ.

რედაქტორი **ს. მგალობლიშვილი.**

გამომცემელი **გრ. დიასამიძე.**

გამოვიდა და იყიდება წ. კ. საზ. მაღაზიაში

ახალი სალიტერატურო-სამეცნიერო-კრებული

# ვპირვპინი.

ფასი ერთი მანეთი.

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული და ქართული, გ. წერეთლისა.
3. ოიდიპის მეფე, თარგმ. ბერძნულით პ. ქავთარაძისა.
4. მეფე მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.



ხელოვნურად შეზავებული




სამკურნალო და ხილეულობის წყალი

# მიტროფანე ლაღიძე და ამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

## ფემოს და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411. ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.

## სტამბა „სორაპანი“.

ღებულობს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს. ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე **ასრულებს საქმეს სუფთად, სწრაფად და გასაოცრად იაფად.**

სტამბა მოთავსებულია მადათოვის კუნძულზე მუხრანსკის შენობაში.

**მიიღებ ხელისმოწერა,** 14 ივლისიდან თბილისში იწყებს გამოსვლას ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო 2 კაპეიკიანი გაზეთი

## „ახალი აზრი“

შემდეგის პროგრამით: 1) საკუთარის და საკუთარის კორესპონდენტების დეპეშები, 2) წერილები ლიტერატურულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე. სპეციალური წერილები. წერილები სახალხო კულტურისა და განათლების საკითხებზე. 3) ბელეტრისტიკა—ამბავები, მოთხრობები და სხვა ნაწარმოებნი სიტყვა-კაზმული მწერლობისა, 4) ფელეტონები და პატარა ფელეტონები. 5) კორესპონდენციები. 6) პროვინციის ცხოვრება, 7) რუსეთში. 8) საზღვარ გარეთ, 9) აკადემიური ცხოვრება. 10) თეატრალური ცხოვრება, 11) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია და სხვ. გაზეთის ფასი: ერთის წლით—4 მ. $1/2$ წლით 2 მ. 3 თვით 1 მ. 25 კ. 1 თვით 45 კ. ცალკე ნომერი ყოველგან 2 კაპ. განცხადებათა ფასი ხელმისაწვდომია: პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტისა 10 კაპ. მეოთხეზე 5 კ. შრომის მძებნელთათვის თვითო განცხადება 20 კ. სატრაურო განცხადება 1 მ. 50 კ. ერთხელ. საჭიროხი არიან კორესპონდენტები და აგენტები დაბა-ქალაქებში. რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Тхинвальская ул. 9. № 7. Редакція газ. „Ахали азри“.

რედაქტორ-გამომცემელი **თ. კეკელიძე.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ქსენიას ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტელის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრები და საერთო ოთახები. განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები.

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი | **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული სნეულებანი | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$).<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| [illegible] | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**თაკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოველ დღე, გარდა ოთხ.) $1$—$1^1/_2$ს<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვთა სნეულ. და ელექტ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11.<br>**დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ფონდოევი გ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურის, ყელის და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$.<br>**ორემბოვსკი ნ. ხ.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ხ.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კანის და ვენ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათოშ გ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით.

## „ჯეჯილი“

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი. ოცდა მესამე წელიწადი. მიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის. გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილება. პატარებისათვის და მოზრდილთათვის. ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში ღირება 4 მანეთი, ქალაქ გარეთ (გაგზავნით 5 მანეთი. ნახევარი წლით 3 მანეთი ცალკე ნომერი ორი აბაზი. ქალაქ გარეთ მაცხოვრებთ შეუძლიათ მიმართონ: ქუთაისში—ისიდორე კვცარიძეს, ბაქოში—ქ. მართა კვიტიშვილს, მიხაილოვში—ელად. ჩიქოვანს, გორში—კნ. თამარა თარხნიშვილს, სამტრედიაში—რაჟ. ნანეიშვილს, თელავში—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს, სიღნაღში—კნ. ნ. ადრონიკაშვილს, ჭიათურაში—ქ. ჯაფარიძეს და ნიკო წუწუნავას, ბათუმში—მიხეილ კალანდაძეს.

რედ. გამომცემელ ქალ. ეთუმანიშვილი-წერეთლისა.